2023 წლის იტალიური ენის გამოცდის ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

ტესტი ამოწმებს 4 ენობრივ უნარს: მოსმენას, კითხვას, წერას და ლაპარაკს. სირთულის დონე არის B2 (საშუალოზე მაღალი). დავალებების რაოდენობა, ლაპარაკის დავალებების ჩათვლით, არის 11. დავალებების გადანაწილება უნარების მიხედვით შემდეგია:
მოსმენა - 2 დავალება (16 ქულა); კითხვა - 4 დავალება (36 ქულა); წერა -2 დავალება (22 ქულა); ლაპარაკი - 3 დავალება (16 ქულა). მოსმენის და კითხვის დავალებები ამოწმებს როგორც მოცემული ტექსტის ზოგადი აზრის, ისე მასში მოცემული ცალკეული დეტალების გაგების უნარს. წერის დავალებები ამოწმებს ოფიციალური წერილის და ესეს წერის უნარებს, ხოლო ლაპარაკის დავალებები ამოწმებს აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარს. ტესტის მაქსიმალური ქულა არის 90.

- **კითხვის და მოსმენის** ყველა დავალება ფასდება 1 ქულით.
- **წერილ**ი ფასდება 6 ქულით; სქემა ჰოლისტურია.
- **ესე** ფასდება 16 ქულით. შეფასების კრიტერიუმებია: 1. დავალებასთან შესაბამისობა;
  2. ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა; 3. ლექსიკური მარაგი;
  4. გრამატიკული სისწორე.
- **ლაპარაკი** ფასდება 16 ქულით. შეფასების კრიტერიუმებია: 1. დავალებასთან შესაბამისობა და გაბმულობა; 2. ლექსიკური მარაგი; 3. გრამატიკული სისწორე და მრავალფეროვნება; 4. წარმოთქმა.